ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ _____ 30 04 2014 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 02-02/149

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიების, ვადებისა და პროცედურის დადგენის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის"; ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის; ამავე უნივერსიტეტის „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" VI[1] თავის; ამავე უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (1/863, 28.04.2014), სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის (1/893, 30.04.2014) სკოლების (ფაკულტეტების) დეკანების სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები შიდა მობილობისათვის 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სკოლის (ფაკულტეტის) შესაბამისად:

   1.1. **ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)**

   1.1.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოტექნოლოგია" - 8 ადგილი;

   1.1.2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკოლოგია და გარემოს დაცვა" - 6 ადგილი;

   1.2. **სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლაში (ფაკულტეტზე)**

   1.2.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება" - 20 ადგილი;

2. 2013 – 2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვადები განისაზღვროს შემდეგი წესით:

   2.1. მსურველთა განცხადებების მიღება საქმისწარმოების, ადამიანური რესურსებისა და საორგანიზაციო საკითხების მართვის სამსახურში - 2014 წლის პირველი - 5 მაისი;

   2.2. კრედიტების აღიარება სკოლების (ფაკულტეტების) აღიარების კომისიის მიერ - 2014 წლის 6 - 7 მაისი;

   2.3. აღიარებული კრედიტების გაცნობა სტუდენტებისთვის და სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების მიერ მასალის წარდგენა შესაბამისი სამართლებრივი აქტის მოსამზადებლად - 2014 წლის 7 მაისი;

   2.4. შიდა მობილობის ფარგლებში სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის თაობაზე ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 2014 წლის 8 მაისი;

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

5. ბრძანების ასლი შემდგომი რეაგირებისათვის გაეგზავნოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე